

## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის ბრძანება №141/ნ

2010 წლის 20 მაისი

ქ. თბილისი

### სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესი (დანართი №1);

ბ) ოჯახის დეკლარაციის ფორმა (დანართი №2);

გ) ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმის ფორმა (დანართი №3);

დ) ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის დამატებითი შეფასების შესახებ ოქმის ფორმა (დანართი №4).

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული ფორმების დამზადება უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 ივნისიდან.

**ა. კვიტაშვილი**

#### შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება № 347 /ნ -სსმIII, №135, 21.10.2010წ., მუხ. 1967

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება №01-47/ნ - ვებგვერდი, 13.10.2011 წ.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის ბრძანება №01-37/ნ - ვებგვერდი, 18.06.2012წ.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №01-27/ნ - ვებგვერდი, 28.06.2013წ.

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება № 01-37/ნ - ვებგვერდი, 18.09.2013წ.

დანართი №1

### სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესი

#### თავი I. ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1

1. ეს წესი განსაზღვრავს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდსა და პირობებს, არეგულირებს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცესთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და სამართლებრივ საკითხებს.

2. ამ წესის მიზანია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (შემდგომში – „მონაცემთა ბაზა“) რეგისტრაციის მაძიებელი და რეგისტრირებული ოჯახების იდენტიფიკაცია და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად.

##### მუხლი 2

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო



კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

ბ) ოჯახი – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი;

გ) შინასამეურნეო საქმიანობა – ოჯახის საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვებასა და ამ საშუალებების (ფული, პროდუქტები, ტანსაცმელი და ა.შ.) ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა განაწილებას;

დ) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი – ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც ოჯახის წევრები ანდობენ დაადასტუროს „ოჯახის დეკლარაციაში“ შესატანი მონაცემები ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

ე) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა – სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული ვიზუალური დათვალიერებისა და გამოკითხვის (ინტერვიუების) შედეგად დაფიქსირებული მონაცემებისა და ფაქტების ერთობლიობა;

ვ) ოჯახის დეკლარაცია – სპეციალური ფორმის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს ოჯახის შემადგენლობაში მყოფი წევრების, ოჯახის შემოსავლებისა და კომუნალური დანახარჯების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს, რომლებიც ასახავს ოჯახის ფაქტობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და საჭიროა ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად;

ზ) სააგენტოს უფლებამოსილი პირი – პირი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიისა და წესის შესაბამისად ახორციელებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას;

თ) ინტერვიუება – სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ჩატარებული გამოკითხვა ოჯახის შესახებ საჭირო ინფორმაციის დადგენის და/ან დაზუსტების მიზნით.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც [საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესში“](#).

## თავი II. ოჯახის იდენტიფიკაცია და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მონაცემთა დადგენა

### მუხლი 3

1. ოჯახის იდენტიფიკაცია და/ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა ხორციელდება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2. ოჯახის იდენტიფიკაციისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად სააგენტოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს ობიექტური და სუბიექტური ინფორმაციის მოპოვებას:

ა) ობიექტური ინფორმაცია მიიღება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის საცხოვრებელი პირობების ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად;

ბ) სუბიექტური ინფორმაცია გულისხმობს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან ინტერვიუების შედეგად მიღებულ მონაცემთა ერთობლიობას. ინტერვიუების პროცესში შესაძლოა მონაწილეობდეს ოჯახის სხვა ინფორმირებული წევრ(ებ)იც.

3. ოჯახის დეკლარაცია ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახში ვიზიტის დროს.

4. ოჯახში ვიზიტისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) ოჯახს წარუდგინოს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, გააცნოს თავისი უფლება-მოვალეობები, განუმარტოს შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკა, მიზანი და მნიშვნელობა;

ბ) დამატებით შეახსენოს ოჯახის წევრებს წარმომოხილი უფლებები და მოვალეობები;

გ) შეხვდეს და გაესაუბროს ოჯახის წევრებს (სასურველია ყველას), რათა შეიქმნას ზოგადი შთაბეჭდილება მოცემული ოჯახის შესახებ;

დ) ქონებისა და ყოფითი პირობების შესწავლა-შეფასების მიზნით ინტერვიუს დაწყებამდე ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეთანხმებით ზოგადად დაათვალიეროს ოჯახის საცხოვრისი (იგულისხმება ოჯახის საკუთრებაში და/ან მფლობელობაში მყოფი თითოეული ნივთის – მოძრავის თუ უძრავის, პროდუქციის (მათ შორის, გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი მოხმარების) გულდასმით დათვალიერება, რაც დაეხმარება სააგენტოს უფლებამოსილ პირს ოჯახის შესახებ ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ოჯახის დეკლარაციის სწორად შევსებისათვის).

5. სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტისას ინტერვიუს დაწყებამდე ოჯახის წევრები ასახელებენ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელს, რომელთანაც წარმართება ინტერვიუ.

6. ოჯახი ვალდებულია:

ა) შეუქმნას სააგენტოს უფლებამოსილ პირს საქმიანობის სათანადო პირობები მოქმედების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) არ შეუქმნას სააგენტოს უფლებამოსილ პირს დაბრკოლებები და/ან არ შეუშალოს ხელი მისთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში (ასეთ გარემოებად განიხილება, მაგ.: ოჯახის საცხოვრებელში შესვლის, საცხოვრებლის რომელიმე ადგილის დათვალიერებისათვის ხელოვნური



დაბრკოლებების შექმნა, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი საბუთ(ებ)ის განზრახ დამალვა და სხვა);

გ) არ მოახდინოს სააგენტოს უფლებამოსილ პირზე რაიმე ზემოქმედება მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით.

### თავი III. ოჯახის დეკლარაციის შევსების წესი

#### მუხლი 4

1. ოჯახის შესახებ მოპოვებული სუბიექტური და ობიექტური ინფორმაცია სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შეიტანება ოჯახის დეკლარაციაში.

2. ოჯახის დეკლარაციის შევსების დაწყებამდე სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განუმარტოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ ინტერვიუების შედეგად დეკლარირებული ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას და არასწორი (ყალბი) ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში ოჯახს შეიძლება შეუწყდეს რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში. ასეთ შემთხვევაში ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას კარგავს ავტომატურად და ოჯახი კარგავს უფლებას, განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია, მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

3. ოჯახის დეკლარაციის შევსებამდე, სააგენტოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოიძიოს ოჯახის შესახებ მისთვის საჭირო ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან (მაგ., ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ამ ოჯახის შემადგენლობის, უძრავი ქონების – მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესახებ) და ინტერვიუების პროცესში შეადაროს იგი ოჯახის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. შეუსაბამობის შემთხვევაში მიუთითოს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს ინფორმაციის უზუსტობის შესახებ.

#### მუხლი 5

1. ოჯახის დეკლარაციაში მონაცემები შეიტანება გარკვევით, ბურთულიანი კალმის გამოყენებით. შევსებას ექვემდებარება დეკლარაციის ყველა საჭირო გრაფა.

2. ოჯახის დეკლარაციის შევსების დაწყებამდე სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესაბამის გრაფაში მიუთითოს საკუთარი სახელი, გვარი და სამსახურებრივი კოდი.

3. ოჯახის დეკლარაციაზე უნდა მიეთითოს ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი, აგრეთვე მისამართი, ოჯახის წევრთა საკონტაქტო მონაცემები (ბინის ტელეფონი, მობილურის ნომერი და სხვა), ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები.

4. ოჯახის დეკლარაციის შესაბამის გრაფაში უნდა გაკეთდეს აღნიშვნა, თანახმაა თუ არა ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი მითითებული მობილური ტელეფონის ნომერზე გაიგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება მონაცემთა ბაზაში ოჯახის რეგისტრაციის ან/და სოციალური დახმარების შესახებ.

5. დეკლარაციის „B2“, „B4“ და „C1“ კითხვების შევსებამდე ცხრილების სტრიქონში – „ოჯახის წევრის სახელი“ უნდა ჩამოიწეროს ოჯახის წევრების სახელები („C1“-ის შემთხვევაში მხოლოდ 18 წლის და უფროსი ასაკის). სახელები გადმოტანილი უნდა იქნეს „B1“ ცხრილიდან ისეთივე თანმიმდევრობით, რომ ორივე ცხრილში ოჯახის ერთსა და იმავე წევრს ერთი და იგივე რიგითი ნომერი შეესაბამებოდეს.

6. დეკლარაციის „A“, „B“, „C“ (გარდა „C2“ კითხვის პირველი, მე-3, მე-6 და მე-8 გრაფისა), „D“ და „E“ ბლოკები ივსება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დეკლარაციის „F“ ბლოკი ივსება უშუალოდ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ, დამოუკიდებლად, ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ან სხვა წევრთან შეთანხმების გარეშე, ხოლო „C2“ კითხვის პირველი, მე-3, მე-6 და მე-8 გრაფები - ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად.

7. „C2“ კითხვის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8 და მე-10 გრაფების შევსების დროს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს აცნობს ინფორმაციას ოჯახის წევრების შემოსავლების შესახებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) მიღებულ მონაცემთა ბაზასა და სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და ავსებს შესაბამის გრაფას.

8. თუ ოჯახის განაცხადში დაფიქსირებულ წევრთა მონაცემები არაიდენტურია დეკლარაციის შევსების მომენტში არსებულ წევრთა მონაცემებთან, ასეთ შემთხვევაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი განსხვავებულ ოჯახის წევრ(ებ)ზე „C2“ კითხვის პირველ, მე-3, მე-4, მე-5, მე-8 და მე-10 გრაფებს ავსებს სააგენტოში დაცული ინფორმაციის საფუძველზე.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №01-27/6 - ვებგვერდი, 28.06.2013წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება № 01-37/6 - ვებგვერდი, 18.09.2013წ.](#)

#### მუხლი 6

1. ოჯახის დეკლარაციის „A“ ბლოკის – „ოჯახის საცხოვრებელი“ შევსებამდე, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ზუსტად უნდა განუმარტოს ოჯახს, თუ რა იგულისხმება „ოჯახის“ ცნებაში. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ამჩნევს ოჯახის ხელოვნურად გაყოფის ან ოჯახის ხელოვნურად





გაერთიანების მცდელობას, მაშინ აღნიშნული ფაქტის დაზუსტებას ახდენს საცხოვრებელი პირობების ყურადღებით შემოწმების მეშვეობით (მაგ.: საძინებლები, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვა). ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ ხდება მარაგების შენახვა და განაწილება მოცემულ ოჯახში, უნდა შემოწმდეს ცხოვრობენ თუ არა ისინი ერთ საცხოვრისში და აქვთ თუ არა მათ საერთო სამზარეულო, საერთო კომუნალური მრიცხველი, საერთო შესასვლელი და ა.შ. სააგენტოს უფლებამოსილ პირს ენიჭება მოქმედების თავისუფლება ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასადგენად.

2. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ერთ საცხოვრისში მოცემულ ოჯახთან ერთად ცხოვრობს სხვა ოჯახი (მაგ.: ეს შეიძლება იყოს მშობლების, შვილების, ნათესავების ან არანათესავების ოჯახი), რომელიც ამ ოჯახისაგან დამოუკიდებლად ეწევა შინსამეურნეო საქმიანობას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დამატებითი გამოკითხვის საშუალებით, გადაამოწმოს ხელოვნურად ხომ არ იყოფა ოჯახი.

3. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არასწორად უთითებს ოჯახის შემადგენლობას (ოჯახის ხელოვნური დაყოფა ან გაერთიანება), სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია მიუთითოს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს აღნიშნულის შესახებ და მისი თანხმობის შემთხვევაში შეავსოს ოჯახის დეკლარაცია, ოჯახში რეალურად მცხოვრები ყველა წევრის გათვალისწინებით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ეთანხმება ოჯახის ხელოვნური დაყოფის/გაერთიანების ფაქტს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი წყვეტს ოჯახის დეკლარაციის შევსებას და არსებული წესის შესაბამისად ავსებს ოქმს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ (დანართი №3).

5. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირადად შეამოწმოს ელექტოენერჯისა და ბუნებრივი აირის დანახარჯის ამსახველი ქვითრები და ამოწეროს სააბონენტო ნომერი.

6. „A5“ კითხვაზე პასუხის გაცემისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია აუხსნას ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ „სხვა საცხოვრებელში“ იგულისხმება ყველა ის საცხოვრებელი ფართი, რომელიც არის ოჯახის რომელიმე წევრის მფლობელობაში (აგარაკი, ბინა/სახლი, რომელიც ოჯახს დაკეტილი ან გადაცემული აქვს სხვისთვის დროებით სარგებლობაში და სხვა).

7. „A6“ კითხვაზე პასუხის გაცემისას, თუ ოჯახს გააჩნია ჩამოთვლილი ნაგებობებიდან რამდენიმე, შემოიხაზება ყველა პასუხის შესაბამისი ნომერი. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გამოიყენოს ოჯახის საცხოვრებელი პირობების (მ.შ., ეზოს) დათვალიერების შედეგად ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ოჯახის სარგებლობაში არსებული სხვა უძრავი ქონების შესახებ. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეუსაბამო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკში.

## მუხლი 7.

1. დეკლარაციის „B“ ბლოკის – „ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემები“ – შევსება ხდება ოჯახის ყველა წევრზე (ახალშობილებისა და მოცემულ მომენტში ოჯახიდან დროებით (დეკლარაციის შევსების მომენტში არა უმეტეს სამი თვის ვადით) წასული წევრების ჩათვლით).

2. ოჯახის დეკლარაციის შევსებისას ოჯახის წევრებად არ გაითვალისწინება:

ა) სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

ბ) იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

გ) ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომლების სამხედრო სამსახურის შესრულებისას პერიოდულად (სამ თვეში ერთხელ მაინც) ბრუნდება ოჯახში);

დ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი;

ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;

ვ) ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი.

3. სასურველია დეკლარაციის პერსონალური ნაწილი შეივსოს უშუალოდ ამ პირ(ებ)ის გამოკითხვის შედეგად. თუ ეს ვერ ხერხდება, ინფორმაცია ივსება უფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხებზე დაყრდნობით. ოჯახის არასრულწლოვანი წევრ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია მიიღება უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან.

4. დეკლარაციის „B1“ გრაფაში – „ბიოგრაფიული მონაცემები“. ოჯახის წევრების მონაცემების შეტანა უნდა მოხდეს ასაკის კლების რიგითობით (პირველად ფიქსირდება ყველაზე უფროსი წევრი, შემდეგ ასაკით მომდევნო წევრ(ებ)ი). ამასთან ასაკის გრაფაში უნდა მიეთითოს დეკლარაციის შევსების მომენტისათვის შესრულებულ წელთა რიცხვი. თუ დეკლარაციის შევსების მომენტში ოჯახის წევრს არ შესრულებია ერთი წელი, მაშინ იწერება „0“.

5. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირადად შეამოწმოს თითოეული წევრის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში დაბადების მოწმობა) ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და იქიდან ამოიწეროს პირადი ნომრები.

6. დეკლარაციის „B2“ კითხვის შევსებისას ყოველ წევრზე უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი.



7. დეკლარაციის „B3“ კითხვაში მოცემულ ცხრილში ყოველ წევრზე უნდა შემოიხაზოს მხოლოდ დეკლარაციაში ჩამოთვლილი ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისი კოდები. სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა დარწმუნდეს (ვიზუალურად ან დოკუმენტურად), რომ ფიზიკური პირის მდგომარეობა შეესაბამება დეკლარირებულს. ამ კითხვის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:

ა) პირებს, რომელთაც რაიმე ავადმყოფობის გამო დროებით შეზღუდული აქვთ გადაადგილება (მოტეხილობის, კეთილსაიმედო ავადმყოფობის ან სხვა) არ მიეკუთვნებიან კატეგორიებს: „სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი“ და/ან „დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და საჭიროებს მომვლელს“;

ბ) ამ წესის მიზნებისათვის, ფიზიკური მდგომარეობის – „სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას“ ან/და „სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ამბულატორიულ მკურნალობას“ – შემოხაზვისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ ოჯახის წევრის მდგომარეობა ნამდვილად შეესაბამება ამ კატეგორიას, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებულია:

ბ.ა) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომლებიც მიმდინარეობს გულის ქრონიკული უკმარისობის IIბ – IV ხარისხით;

ბ.ბ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომლის დროსაც რეკომენდებულია აუცილებელი ინტერვენციული ჩარევები (ოპერაციები გულზე, სტენტირება, რითმის წამყვანის – პეისმეიკერის, გულშიდა დეფიბრილატორის იმპლანტაცია);

ბ.გ) სასუნთქი სისტემის დაავადებები გართულებული სუნთქვის II-III ხარისხის უკმარისობით;

ბ.დ) თირკმლის ქრონიკული დაავადება III – V სტადია;

ბ.ე) ონკოლოგიური დაავადებები II– IV კლინიკური ჯგუფი ან/და, რომლებიც საჭიროებენ თერაპიულ (ქიმიოთერაპიულ, ჰორმონოთერაპიულ, სხივურთერაპიულ და პალიატიურ) მკურნალობას;

ბ.ვ) ონკოჰემატოლოგიური დაავადებები, რომლებიც საჭიროებენ თერაპიულ (ქიმიოთერაპიულ, ჰორმონოთერაპიულ, სხივურთერაპიულ და პალიატიურ) მკურნალობას;

ბ.ზ) შაქრიანი დიაბეტი – ტიპი 1, ტიპი 2 – ინსულინმომხმარებელი;

ბ.თ) ქრონიკული ჰეპატიტი „B“ ან „C“;

ბ.ი) ღვიძლის ციროზი;

ბ.კ) ეპილეფსია.

გ) თუ ოჯახის წევრს შეესაბამება ორი ან მეტი კატეგორია, შემოიხაზება ყველა შესაბამისი კატეგორიის კოდი.

8. დეკლარაციის „B4“ კითხვის ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში სტატუსის/კატეგორიის აღნიშვნა ხდება მხოლოდ შესაბამისი სტატუსის/კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად (I, II ან III ჯგუფი) გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი – სამედიცინო ან სხვა უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (18 წლამდე ასაკის) – სამედიცინო ან სხვა უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა;

გ) დედ-მამით ობოლი ბავშვი – 18 წლამდე ასაკის ბავშვი – ბავშვის დაბადებისა და მშობლების გარდაცვალების მოწმობები;

დ) მრავალშვილიანი მშობელი (ჰყავს შვიდი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) – ბავშვების დაბადების მოწმობები;

ე) ომის ვეტერანი, ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირი, საბრძოლო მოქმედებისას მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი – ვეტერანთა საქმიების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობა;

ვ) მარტოხელა დედა (პირი, რომელსაც არ ჰყოლია მეუღლე ან ქვრივია და ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილ(ებ)ი) – ქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების მოწმობა (მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში), ბავშვის დაბადების მოწმობა;

ზ) იძულებით გადაადგილებული პირი – იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილი/ლტოლვილი) მოწმობა.

9. დეკლარაციის „B4“ კითხვის ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში გაითვალისწინება საპენსიო/სოციალური პაკეტის და სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები. იმ შემთხვევაში, თუ პირი არის აღრიცხული სააგენტოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სტატუსის/კატეგორიის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ უნდა დადასტურდეს/გადაამოწმდეს სააგენტოში დაცული მონაცემების საშუალებით, მათ შორის, მარტოხელა არამომუშავე პენსიონერი, მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებისაგან შემდგარი ოჯახის წევრი ან მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი.

10. დეკლარაციის „B4“ ნაწილში სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შემოხაზულ უნდა იქნეს ოჯახის თითოეული წევრის ყველა დადასტურებული სტატუსის/კატეგორიის შესაბამისი კოდი.

11. დეკლარაციის „B5“ ნაწილის შევსებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია აუხსნას ოჯახს, რომ აქ იგულისხმება ოჯახის წევრის სრულწლოვანი შვილი, რომელიც დამოუკიდებლად, ოჯახის გარეთ ცხოვრობს ცალკე ოჯახად. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი წევრის ქვეშ უნდა ჩაიწეროს ოჯახისაგან



დამოუკიდებლად მცხოვრები შვილების რაოდენობა. ამ კითხვის შევსებისას არ გაითვალისწინება პირ(ებ)ი რომელიც:

ა) (ამოღებულია - 28.06.2013, № 01/27/ნ);

ბ) იმყოფება სამედიცინო ან სპეციალიზებულ დაწესებულებაში (თავმესაფარში, პანსიონატში და სხვა);

გ) მოთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

დ) არის ფსიქიკურად დაავადებული და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება №01-47/ნ - ვებგვერდი, 13.10.2011 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №01 - 27/ნ - ვებგვერდი, 28.06.2013წ.

## მუხლი 8.

1. დეკლარაციის „C“ ბლოკი – „ოჯახის წევრთა განათლების მიღწეული დონე, ჩვევები და შემოსავლები“ უნდა შეივსოს ოჯახის 18 წლის და უფროსი ასაკის ყველა წევრზე. სასურველია ოჯახის ცალკეული წევრის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნეს ამ წევრთან უშუალო გასაუბრების შედეგად.

2. „C1“ კითხვაში ყოველ წევრზე უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი.

3. დეკლარაციის „C2“ კითხვის შევსებისას:

ა) სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განმარტოს, რომ მიღებული ან მისაღები ფულადი შემოსავლის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ ხელზე მიღებული თანხა ან ის თანხა, რომელიც წინა თვეში უნდა მიეღო და ჯერ არ მიუღია, მაგრამ მომავალში მიიღებს, გარდა „C2“ კითხვის პირველი გრაფისა, სადაც გასულ თვეში მიღებულ ან მისაღებ შემოსავალში იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ წინა მეორე თვეში ხელზე მიღებული თანხა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემებს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი სთხოვს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარმოადგინოს ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განსხვავებული ინფორმაციის შესახებ, რის შემდეგაც დეკლარაციის ამ გრაფის კორექტირება (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ „C2“ კითხვით გათვალისწინებული ფულადი შემოსავალი წარმოადგენს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად რაიმე სახის ფულად სოციალურ გასაცემელს, აღნიშნული დეკლარაციაში უნდა ჩაიწეროს უფლებამოსილი პირის მიერ, სააგენტოში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით;

გ) სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია „C2“ კითხვის მე-8 გრაფაში (ფულადი სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა) აღნიშნოს საარსებო შემწეობის ყოველთვიური ოდენობა იმ შემთხვევაშიც, თუ ოჯახს საარსებო შემწეობის მიღება შეუჭერდა განმეორებითი გადამოწმების გამო და არ აქვს მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულა;

დ) ოჯახის თითოეული წევრისათვის შემოსავლის ყოველი კატეგორიის გასწვრივ უნდა ჩაიწეროს შემოსავლის ოდენობა (ლარებში). თუ წევრს არ აქვს მოცემულ კატეგორიაში შემოსავალი, მაშინ შესაბამის გრაფაში უნდა ჩაიწეროს ციფრი „0“, ხოლო თუ რომელიმე სახის გასაცემელს ან სხვა ფულად შემოსავალს იღებს ოჯახის არასრულწლოვანი წევრი, მაშინ შესაბამისი თანხა ჩაიწერება მის მშობელს ან ოჯახის იმ წევრს, რომელიც ამ დახმარების/შემოსავლის კანონიერი მიმღებია;

ე) „C2“ კითხვის მე-10 გრაფაში (სხვა რეგულარული ფულადი შემოსავალი) უნდა ჩაიწეროს ის ფულადი შემოსავალი, რომელიც არ არის გათვალისწინებული „C2“ კითხვის სხვა გრაფით და აქვს არაერთჯერადი (რეგულარული) ხასიათი;

ვ) თუ შემოსავალი არის რეგულარული, მაგრამ მისი მიღება არ ხდება ყოველთვიურად, უნდა დაფიქსირდეს ამ შემოსავლის ერთ თვეზე დაანგარიშებული ოდენობა;

ზ) ოჯახის შემოსავლებში, როგორც დროებითი ხასიათის მქონე შემოსავალი, არ გაითვალისწინება საარჩევნო პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშვნის/არჩევის გამო, არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული ხელფასი.

5. დეკლარაციის „C3“ ნაწილის – „თამბაქოს მოხმარება“ შევსებისას, უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი პასუხის შესაბამისი კოდი.

6. დეკლარაციის „C4“ კითხვაზე – „რამდენი იყო ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში“, პასუხის გაცემისას:

ა) ამ გრაფაში ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების მომენტიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული ფულადი შემოსავლები;

ბ) თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ამჩნევს (ან მისთვის უკვე ცნობილია), რომ ოჯახს გასული წლის განმავლობაში ჰქონდა ისეთი შემოსავალი, რის დეკლარირებაც ოჯახმა არ გააკეთა, იგი ვალდებულია



მიუთითოს ამის შესახებ და შეეცადოს დაადგინოს ჭეშმარიტება;

გ) არ გაითვალისწინება ნატურით მიღებული შემოსავალი და/ან ანაზღაურება. თუ ოჯახს არ ჰქონია რაიმე სახის შემოსავალი, მაშინ სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა შესაბამის გრაფაში უნდა ჩაწეროს ციფრი „0“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №01 - 27/ნ - ვებგვერდი, 28.06.2013წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება № 01-37/ნ - ვებგვერდი, 18.09.2013წ.

## მუხლი 9.

1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია განმარტოს, რომ დეკლარაციის „D1“ კითხვის – „იყენებთ თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მიწის ფართობს“ შევსებისას იგულისხმება ოჯახის მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული (იჯარით, თხოვების ან სხვა ფორმით აღებული ჩათვლით) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელსაც იყენებს სამეურნეოდ.

2. დეკლარაციის „D1“ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში ივსება დეკლარაციის „D2“ კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემისას, თუ ოჯახს მიწის ერთსა და იმავე ფართობზე რამდენიმე კულტურა აქვს დათესილი, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა დაადგინოს მათგან რომელია ძირითადი და რომელი შეთესილი. პასუხი უნდა ჩაიწეროს მხოლოდ დასახელებული ძირითადი კულტურის გასწვრივ ჰექტრებში, მესხედის სიზუსტით, ხოლო ბოსტნეულისა და ბაღყეულის შემთხვევაში კვადრატულ მეტრებში. ძირითად ნათესში იგულისხმება რაოდენობრივად ყველაზე მეტი და ოჯახისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურა (მაგ.: ვენახი, ხორბალი, კარტოფილი და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ მოცემული კულტურისათვის ფართობი არა აქვს გამოყოფილი, იწერება ციფრი „0“.

2<sup>1</sup>. დეკლარაციის „D1“ კითხვის შევსებისას არ გაითვალისწინება ოჯახის მიერ სამეურნეოდ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთი, რომლის დამუშავება განხორციელდა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, ოჯახის ერთ-ერთ წევრზე განპირობებული (პირადი ნომრის მიხედვით) „სასოფლო-სამეურნეო ბარათის“ საშუალებით.

2<sup>2</sup>. ამ მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ოჯახი ვალდებულია სააგენტოს უფლებამოსილ პირს წარუდგინოს „სასოფლო-სამეურნეო ბარათი“, ან მისი ასლი, ან კომპიუტერული/უფლებამოსილი ორგანოს/დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ოჯახის წევრზე „სასოფლო-სამეურნეო ბარათის“ გაცემას, ამ წევრის პირადი ნომრის და სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის მიერ სამეურნეოდ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი უფრო მეტია ვიდრე „სასოფლო-სამეურნეო ბარათით“ გათვალისწინებული ფართი, მაშინ დეკლარაციის „D1“ კითხვაზე გაიცემა დადებითი პასუხი, ხოლო „D2“ კითხვის შევსება განხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასოფლო-სამეურნეო ბარათით“ გათვალისწინებული ფართის გამოკლებით.

3. დეკლარაციის „D3“ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში ივსება დეკლარაციის „D4“ კითხვა, სადაც შესაბამის გრაფაში უნდა ჩაიწეროს ოჯახის საკუთრებაში არსებული ზრდასრული (პროდუქტიული) შინაური ცხოველების/ფრინველების რაოდენობა. აქ არ ითვლება ე.წ. მოზარდი შინაური ცხოველები/ფრინველები (გოჭი, ხბო, წიწილა და ა.შ.). თუ ოჯახს რომელიმე სახეობის პირუტყვი ან ფრინველი არ ჰყავს, იწერება ციფრი „0“;

4. დეკლარაციის „D5“ კითხვის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ყურადღებით უნდა გადაამოწმოს მიღებული პასუხების სისწორე და გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) გრაფაში „ფლობს“ აღნიშნული უნდა იქნეს მხოლოდ მუშა მდგომარეობაში მყოფი ხანგრძლივი მოხმარების საგნების რაოდენობა (იმ საგნების ჩათვლით, რომლებიც აღინიშნება გრაფაში – „მ.შ. დახმარების სახით მიღებული“);

ბ) თუ ოჯახი არ ფლობს მუშა მდგომარეობაში მყოფ რომელიმე ხანგრძლივი მოხმარების საგანს, რომელიც ჩამოთვლილია დეკლარაციის „D5“ კითხვაში, აღნიშნული საგანის გასწვრივ გრაფაში „არ ფლობს“ იწერება ციფრი „0“.

გ) გრაფაში – „მ.შ დახმარების სახით მიღებული“ უნდა აღინიშნოს იმ საგნების რაოდენობა, რომლებიც ოჯახისათვის სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძო სამართლი იურიდიული პირის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ერთობლივად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების ან ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და მათი წარმომადგენლობების მიერ [საქართველოს სამოქალაქო კოდექსით](#) გათვალისწინებული უსასყიდლო სარგებლობის ფორმებით ან საკუთრებაში არის გადაცემული, ან პირდაპირი მიყიდვის გზით ოჯახის მიერ შესყიდულია სიმბოლურ ფასად, აგრეთვე ჯილდოს სახით მიღებული ხანგრძლივი მოხმარების საგნები, რომელთა გადაცემა ოჯახისათვის დასტურდება დოკუმენტურად.

5. დეკლარაციის „D6“ კითხვა – „ხანგრძლივი მოხმარების საგნ(ებ)ის დახმარების სახით მიღების დადასტურება“ უნდა შეივსოს და ხელმოწერით დადასტურდეს სააგენტოს შესაბამისი





ტერიტორიული/სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი პირის მიერ. ამასთან, თუ არ დასტურდება რომელიმე ხანგრძლივი მოხმარების საგნის დახმარების სახით მიღება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ორგანოდან, უნდა შემოიხაზოს შესაბამისი პასუხის („საგნის დახმარების სახით მიღება არ დასტურდება“) კოდი.

6. ოჯახის სარეიტინგო ქულის გამოთვლისას არ გაითვალისწინება ხანგრძლივი მოხმარების საგნები, რომლებიც ოჯახს მიღებული აქვს დახმარების სახით, თუ წარმოდგენილია ამის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №347/5-სსმIII, №135, 21.10.2010წ., მუხ.1967

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №01 - 27/5 - ვებგვერდი, 28.06.2013წ.

**მუხლი 10**

დეკლარაციის „E“ ბლოკში – „კომუნალური ხარჯები“ ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების მომენტიდან ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები. თუ ოჯახს ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის მოხმარებაზე გადასახადი არ გადაუხდია, იწერება ციფრი „0“.

**მუხლი 11**

1. დეკლარაციის „A“, „B“, „C“, „D“ და „E“ ბლოკების სრულად შევსების შემდეგ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს შევსებულ დეკლარაციას, რათა დარწმუნდნენ, რომ დეკლარაციის ყველა საჭირო კითხვაზე შემოხაზულია შესაბამისი პასუხი და დამატებით გადამოწმდეს დეკლარაციის შევსების მართებულობა და სისრულე.

2. თუ შევსებული დეკლარაციის გადამოწმებისას აღმოჩენილი იქნება არასწორად შემოხაზული ან ჩაწერილი პასუხი, რომელიც მექანიკურად დაუშვა სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ან დაზუსტების მიზნით ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და ითხოვს უკვე შემოხაზული (ჩაწერილი) პასუხის სხვა პასუხით შეცვლას, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გადახაზოს უკვე შემოხაზული პასუხი „X“ ნიშნით და ახლიდან შემოხაზოს/დააფიქსიროს სწორი პასუხი. ჩასწორებულ პასუხზე ხელს აწერს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი და სააგენტოს უფლებამოსილი პირი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჩასწორების შეტანა დასაშვებია, თუ ჩასწორება ხელს არ უშლის შემოხაზული (ჩაწერილი) მონაცემის (პასუხის) ერთგვაროვან გაგებას. იმ შემთხვევაში, თუ ჩასწორების გაკეთება სადავოს და გაუგებარს ხდის შეტანილ (ჩაწერილი) მონაცემს (პასუხს), სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეავსოს ახალი დეკლარაცია.

4. თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირს ეპარება, რომ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დეკლარირებული მონაცემები არ შეესაბამება რეალობას, იგი ვალდებულია შეეცადოს შეასწორებინოს ისინი დამატებითი კითხვებისა და მოყვანილი ფაქტების საშუალებით. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ თანხმდება შესწორებაზე ან მიწოდებული ინფორმაციის შეცვლაზე, შეტანილი მონაცემები რჩება უცვლელი და დეკლარაციის „F5“ გრაფაში – „ოჯახის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება“, სააგენტოს უფლებამოსილი პირი უთითებს აღნიშნული უზუსტობის შესახებ.

5. დეკლარაციის „A“, „B“, „C“, „D“ და „E“ ბლოკების შევსების დასრულების შემდეგ, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს აწერს დეკლარაციის ყველა შესაბამისი ფურცლის ბოლოს, რაც ადასტურებს შემდეგს:

- ა) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარაციაში ასახულია სრულად, შეესაბამება სიმართლეს და პასუხისმგებელია მის სისწორეზე;
- ბ) თანხმობას, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები შეტანილ იქნეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ოჯახის მიერ სოციალური დახმარების (შელავათის ან სხვა სახის სარგებლის) მიღების თაობაზე ინფორმაცია გახდეს საჯარო.

**მუხლი 12**

1. დეკლარაციის „F“ ბლოკში მოცემული გრაფები ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე.

2. „F1“-„F2“ კითხვებზე პასუხის გასაცემად გადაწყვეტილება მიიღება ოჯახის წევრებისა და ბინის/სახლკარის მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე. ამ გრაფებში უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი;

3. „F3“ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეთანხმებით შემოწმდეს, აქვს თუ არა ოჯახს ამ კითხვაში მოცემული პირადი ჰიგიენის საშუალებები. ამ გრაფებში უნდა შემოიხაზოს ყველა შესაბამისი პასუხის კოდი.

4. „F4“ კითხვაზე პასუხის გასაცემად სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შემოხაზოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკუთარი სუბიექტური შეფასების მხოლოდ ერთი შესაბამისი





პასუხის კოდი. ამასთან:

ა) უკიდურესად დატაკად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, თუ მის წევრ(ებ)ს მძაფრად უდგათ შიმშილის პრობლემა, სხვისი დახმარების გარეშე არ შეუძლიათ მოიპოვონ ის მინიმალური საკვები, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელობის (სიცოცხლის) შენარჩუნებისათვის;

ბ) დატაკად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, თუ მის წევრებს ძნელად თუ შეუძლიათ საკვების შეძენა. მათი შემოსავალი სრულად ვერ ყოფნის იმ საკვების შეძენასაც კი, რაც საჭიროა შინამეურნეობის წევრების ნორმალური კვებისათვის;

გ) ღარიბად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, თუ მის წევრებს საკუთარი შემოსავლებით შეუძლიათ მხოლოდ საკვების შეძენა, მათი შემოსავალი სრულად ვერ ყოფნის სხვა აუცილებელი საგნებისა თუ მომსახურების შეძენას (მაგ.: ხშირ შემთხვევაში არ შეუძლიათ ისეთი აუცილებელი საგნების ყიდვა, როგორცაა წამლები, სახელმძღვანელოები, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვა);

დ) საშუალო შეძლების მქონედ შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, რომელიც აუცილებელი მოთხოვნილებების გარდა, მეტნაკლებად იკმაყოფილებს სხვა დამატებით მოთხოვნილებასაც (მაგ.: შესაძლებელია ზოგჯერ მოიძებნოს შინამეურნეობაში საშუალება იმისა, რომ გაჩეულ იქნეს ხარჯები ოჯახის წევრის დასვენებაზე, სარემონტო სამუშაოებზე და სხვა);

ე) მდიდრად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, რომელიც მარტივად იკმაყოფილებს ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნებს, აქვს საშუალება შეიძინოს საქონელი ან/და მომსახურება ოჯახის წევრ(ებ)ის კომფორტისათვის;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვერ წყვეტს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ჯგუფებს შორის ზუსტად რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ოჯახი, მაშინ უნდა შემოხაზოს კითხვარში მოცემული შუალედური პასუხის კოდი, როგორცაა: „უკიდურესად დატაკა და დატაკს შორის“, „დატაკა და ღარიბს შორის“ და ა.შ.

5. დეკლარაციის „F5“ კითხვაში შემოიხაზება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის შესაბამისი პასუხის კოდი. ამასთან:

ა) მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის შეფასების შესაძლო პასუხებიდან („სანდოა“, „მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას“) უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი შესაფერისი პასუხი;

ბ) თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი შეგნებულად მალავს სიმართლეს, მან უნდა შემოხაზოს პასუხი – „მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას“ და აღნიშნული დააზუსტოს ყველა შესაბამისი პასუხის კოდის შემოხაზვით (მაგ.: „მალავს შემოსავლებს“, „მალავს საცხოვრისს“, „არასწორად უთითებს წევრ(ებ)ის ფიზიკურ მდგომარეობას“ და ა.შ.).

### მუხლი 13

1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი დეკლარაციის ყველა ბლოკის შევსების შემდეგ შესაბამის გრაფაში აღნიშნავს დეკლარაციის შევსების თარიღს, ვიზიტის დაწყებისა და დასრულების დროს და ხელმოწერითა და პირადი ბეჭდით ადასტურებს დეკლარაციის შევსებას.

## თავი IV. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმის შევსების წესი

### მუხლი 14

1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმს (შემდგომში – შეწყვეტის ოქმი) (დანართი №3) ავსებს იმ შემთხვევებში, თუ:

ა) ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული;

ბ) ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი;

გ) ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს, ან ვერ ხერხდება ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა;

დ) ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას;

ე) ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები;

ვ) სხვა მიზეზი, რაც ხელს უშლის სააგენტოს უფლებამოსილ პირს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში, ან ოჯახი უარს აცხადებს დეკლარაციის შევსებაზე და მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე, ან როდესაც შეუძლებელია ოჯახის იდენტიფიცირება (მაგ.: განაცხადში მითითებული მისამართი არ არსებობს ან მითითებულ მისამართზე არ მდებარეობს შენობა-ნაგებობა).

2. შეწყვეტის ოქმში მითითებული უნდა იყოს სააგენტოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი; ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი; ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ოქმის შევსების თარიღი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი დარწმუნებულია ოჯახის ხელოვნურად დაყოფის ან ხელოვნურად გაერთიანების საკითხში, რასაც მოწმობს ოჯახის საცხოვრებელი პირობები.



4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამი ვიზიტის განხორციელების შემდეგ ვერ შეძლებს ოჯახთან ან ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრას. ამ შემთხვევაში შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკის შესაბამისი გრაფა მოინიშნება მას შემდეგ, რაც სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სრულად იქნება შევსებული შეწყვეტის ოქმის „B“ ბლოკი. ამ საფუძვლით შეწყვეტის ოქმის შევსებისას სააგენტოს პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:

ა) განხორციელებულ პირველ და მესამე ვიზიტებს შორის დროის მონაკვეთი არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები;

ბ) შეწყვეტის ოქმის შევსების თარიღად უნდა მიეთითოს სააგენტოს პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული მესამე ვიზიტის თარიღი;

გ) შეწყვეტის ოქმში არ არის სავალდებულო მიეთითოს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

დ) „B“ ბლოკის თითოეული გრაფის შევსებისას სასურველია ფიქსირდებოდეს იმ პირის მონაცემები (სახელი, გვარი, კავშირი ოჯახთან (მეზობელი, ნათესავი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი ან სხვა) და ხელმოწერა), რომელიც დაადასტურებს სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტის ფაქტს.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის, ოჯახის სხვა წევრ(ებ)ის, ან მესამე პირის მხრიდან ადგილი აქვს სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში ხელის შეშლას და [ამ წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტითა](#) და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობას.

6. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის რომელიმე წევრს არ გააჩნია [ამ წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით](#) გათვალისწინებული საბუთი (ან არსებულ საბუთში არ არის მითითებული პირადი ნომერი) დეკლარაციის შევსება ჩერდება და ოჯახს ეძლევა ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ შემთხვევაში სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ავსებს შეწყვეტის ოქმის „C“ ბლოკს, რომელშიც უთითებს ოჯახის შესაბამისი წევრ(ებ)ის სახელსა და გვარს, სვამს ვიზიტის თარიღსა და ოჯახის გაფრთხილების თაობაზე ხელს აწერინებს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

7. თუ ოჯახი, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, სააგენტოს უფლებამოსილ პირს ვერ წარმოუდგენს პირადობის დამადასტურებელ შესაბამის საბუთ(ებ)ს, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაასრულოს შეწყვეტის ოქმის შევსება, კერძოდ:

ა) შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკში მიუთითოს შესაბამისი მიზეზი (ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები);

ბ) მიუთითოს შეწყვეტის ოქმის შევსების დასრულების თარიღი. ამასთან, შეწყვეტის ოქმის „C“ ბლოკის შევსების (გაფრთხილების) თარიღსა და შეწყვეტის ოქმის შევსების თარიღს შორის დროის მონაკვეთი არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.

8. სააგენტოს პასუხისმგებელი პირი შეწყვეტის ოქმის შევსებას ადასტურებს ხელმოწერით. შეწყვეტის ოქმზე არ არის სავალდებულო ფიქსირდებოდეს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა.

9. შეწყვეტის ოქმის შევსების შემდეგ ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას კარგავს ავტომატურად.

10. შეწყვეტის ოქმის შევსების შემდეგ სააგენტო ვალდებულია წერილობით აცნობოს ოჯახს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების და/ან განაცხადის ძალადაკარგულად აღიარების შესახებ.

## თავი V. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის დამატებითი შეფასების შესახებ ოქმის შევსების წესი

### მუხლი 15

1. ოქმი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის დამატებითი შეფასების შესახებ (დანართი №4) (შემდგომში – „დამატებითი შეფასების ოქმი“) წარმოადგენს სპეციალური ფორმის დოკუმენტს, რომელიც ივსება [საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების \(შინამეურნეობების\) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-12 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის](#) საფუძველზე.

2. დამატებითი შეფასების ოქმის შევსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს ტერიტორიული ერთეული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარაციაში ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შეფასებულია როგორც „უკიდურესად ღატაკი“, მინიჭებული სარეიტინგო ქულა აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ ფულადი სოციალური დახმარების მიღებისათვის დადგენილ ზღვრულ ოდენობას და არსებობს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შუამდგომლობა ოჯახის განმეორებითი შეფასების შესახებ.

3. დამატებითი შეფასების ოქმი ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ, მისი და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის ოჯახში განხორციელებული ერთობლივი ვიზიტის დროს. ვიზიტის დროს სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოახდინოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება.



4. განხორციელებული ერთობლივი ვიზიტის დროს, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არის უკიდურესად მძიმე, რასაც ეთანხმება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი, ივსება დამატებითი შეფასების ოქმი, რომელიც უნდა დამოწმდეს სააგენტოს უფლებამოსილი პირისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის ხელმოწერითა და ბეჭდით.

## თავი VI. ოჯახის სარეიტინგო ქულის გაანგარიშება

### მუხლი 16

1. დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით.

2. ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, [საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების \(შინამეურნეობების\) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“](#) გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა.

## თავი VII. ოჯახის დეკლარაციის შევსების სიზუსტის კონტროლი

### მუხლი 17

1. იმ შემთხვევაში, როდესაც სააგენტოს უფლებამოსილი პირი „F5“ კითხვაში აფიქსირებს ოჯახის მხრიდან ფაქტების დამალვა-დამახინჯებას, შესაძლებელია ოჯახის დეკლარაციის განმეორებითი შევსება დადგენილი წესის შესაბამისად.

2. დეკლარაციის განმეორებითი შევსება აგრეთვე შესაძლებელია განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ოჯახის შესახებ დეკლარირებული სუბიექტური და დადგენილი ობიექტური ინფორმაციის ურთიერთშედარების შედეგად ფიქსირდება არსებითი განსხვავება.

3. ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად პერიოდულად ხორციელდება შერჩევითი გადამოწმება.





სსიპ - სოციალური

მომსახურების

სააგენტო

დამტკიცებულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებით

ოჯახის დეკლარაცია

კოდი:

**სავალდებულო პირობები**

ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის საჭიროა პასუხი გასცეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. უარის შემთხვევაში, თქვენი ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას ჰკარგავს ავტომატურად.

თქვენს მიერ დეკლარირებული ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას და არასწორი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, თქვენი ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას ჰკარგავს ავტომატურად. სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში ოჯახი ჰკარგავს უფლებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის ოჯახად მიიჩნევა განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (საცხოვრებელი ადგილის ერთობლივი გამოყენება, მისი მოვლა-პატრონობა, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვება და ამ საშუალებების - ფული, პროდუქტები, ტანსაცმელი და სხვა ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა-განაწილება).

ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი:

**ოჯახის მისამართი და საკონტ**

თვითმმართველი ქალაქი: მუნიციპალიტეტი:

ადმინისტრაციული ერთეული: სოფელი:

ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი: სახლის №:

ბინის ტელეფონი: სწავ საკონტაქტო ტელეფონი:

მობილური ტელეფონი: ხართ თუ არა თანახმა მითითებულ ტექსტური შეტყობინება ოჯახის დახმარების შესახებ:

**ოჯახის უფლებამოსილი წარ**

გვარი: სახელი:

**A. ოჯახის საცხოვრებელი**

**A1. ცხოვრობს თუ არა საცხოვრისში ოჯახთან ერთად სხვა ოჯახი?**

დიახ	1	გაავრმელებ <u>II</u>
არა	2	გადადით A3-ზე

**საცხოვრისში ოჯახთან ერთად კიდევ ვისი ოჯახი ცხოვრობს და**

**A2. რა მიმართებაშია ის ოჯახის უფროსთან?**

მშობლ(ებ)ის ოჯახი	1
ბებია-ბაბუის ოჯახი	2
შვილ(ებ)ის ოჯახი	3
შვილიშვილ(ებ)ის ოჯახი	4
სხვა ნათესავის ოჯახი	5

**A5. ფლობთ თუ არა ძირითადი საცხოვრ (ბინას, სახლს, აგარაკს და სხვა)?**

**A6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა უძრავ შესაძლებელია რამდენიმე პასუხი**

დაუმთავრებელ სამეურნეო ნაგებობები (სახელოსნო)

ჩამოთვლილთა

**A3. ელექტროენერგიაზე დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“**

**A4. ბუნებრივ გაზზე დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“**



B2. ნათესაური მიმართება ოჯახის უფროსთან	N	1	2	3	4	5	6	7	8	9
		ოჯახის წევრი	სახელი							
ოჯახის უფროსი		1	1	1	1	1	1	1	1	1
ოჯახის უფროსის მეუღლე		2	2	2	2	2	2	2	2	2
ოჯახის უფროსის ან მისი მეუღლის შვილი, რძალი, სიძე		3	3	3	3	3	3	3	3	3
ოჯახის უფროსის ან მისი მეუღლის დედა-მამა ან ბებია-ბაბუა		4	4	4	4	4	4	4	4	4
ოჯახის უფროსის ან მისი მეუღლის და-ძმა		5	5	5	5	5	5	5	5	5
ოჯახის უფროსის ან მისი მეუღლის შვილიშვილი		6	6	6	6	6	6	6	6	6
ოჯახის უფროსის ან მისი მეუღლის ბიძა, დეიდა, მამიდა ან მათი შვილები		7	7	7	7	7	7	7	7	7
ოჯახის უფროსის ან მისი მეუღლის სხვა ნათესავი		8	8	8	8	8	8	8	8	8
არანათესავი		9	9	9	9	9	9	9	9	9

B3. ფიზიკური მდგომარეობა	N	1	2	3	4	5	6	7	8	9
შემოხაზეთ ყველა შესაბამისი პასუხი		1	2	3	4	5	6	7	8	9
სარეცელს მიჯაჭვული / ლოგინად ჩავარდნილი		1	1	1	1	1	1	1	1	1
დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და/ან საჭიროებს მომვლელს		2	2	2	2	2	2	2	2	2
ფსიქიკურად დაავადებული		3	3	3	3	3	3	3	3	3
ორსული (20 და მეტი კვირის)		4	4	4	4	4	4	4	4	4
მეძუძური დედა (ერთ წლამდე ბავშვით)		5	5	5	5	5	5	5	5	5
სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას		6	6	6	6	6	6	6	6	6
სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ / ამბულატორიულ მკურნალობას		7	7	7	7	7	7	7	7	7
არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას არ მიეკუთვნება		8	8	8	8	8	8	8	8	8

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა



	N	1	2	3	4	5	6	7	8	9
I										





ოჯახის  
წევრი

სახელი

B4. სპეციალური სტატუსი და კატეგორია <small>შემოხაზეთ ყველა შესაბამისი პასუხი</small>									
სპეციალური სტატუსი არ გააჩნია	1	1	1	1	1	1	1	1	1
მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (I ჯგუფი)	2	2	2	2	2	2	2	2	2
მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (II ჯგუფი)	3	3	3	3	3	3	3	3	3
ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (III ჯგუფი)	4	4	4	4	4	4	4	4	4
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (18 წლამდე ასაკის)	5	5	5	5	5	5	5	5	5
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირველი ჯგუფის უსინათლო პირი	6	6	6	6	6	6	6	6	6
დედ-მამით ობოლი ბავშვი (18 წლამდე ასაკის)	7	7	7	7	7	7	7	7	7
მარტოხელა არამომუშავე პენსიონერი	8	8	8	8	8	8	8	8	8
მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებისაგან შემდგარი ოჯახის წევრი	9	9	9	9	9	9	9	9	9
ძრავალშვილიანი მშობელი შვიდი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილით	10	10	10	10	10	10	10	10	10
საბრძოლო მოქმედებისას მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრი	11	11	11	11	11	11	11	11	11
მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრი	12	12	12	12	12	12	12	12	12
ომის ვეტერანი	13	13	13	13	13	13	13	13	13
ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირი	14	14	14	14	14	14	14	14	14
მარტოხელა დედა	15	15	15	15	15	15	15	15	15
იძულებით გადაადგილებული პირი (დევნილი/ლტოლვილი)	16	16	16	16	16	16	16	16	16

**B5. ინფორმაცია სრულწლოვანი შვილების შესახებ**

ჰყავს თუ არა ოჯახის წევრ(ებ)ს სრულწლოვანი შვილები, რომლებიც არ ცხოვრობენ თქვენს ოჯახში და თუ ჰყავს რამდენი? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაწერეთ „0“

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა



**C. ოჯახის წევრთა განათლების მიღებული**

**დონე, ჩვევები და შემოსავლები**

შემდეგი კითხვები ივსება მხოლოდ ოჯახის ზრდასრულ (18 წლის ან უფროსი ასაკის) წევრებზე

N	1	2	3	4	5	6	7	8	9	
										ოჯახის წევრი
<b>C1. განათლების მიღწეული დონე</b>										
	წერა-კითხვის უცოდინარი	1	1	1	1	1	1	1	1	1
	არასრული საშუალო	2	2	2	2	2	2	2	2	2
	საშუალო	3	3	3	3	3	3	3	3	3
	საშუალო პროფესიული (ტექნიკუმი, პროფ-ტექნიკუმი)	4	4	4	4	4	4	4	4	4
	არასრული უმაღლესი (შეწყვეტილი განათლება)	5	5	5	5	5	5	5	5	5
	უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი	6	6	6	6	6	6	6	6	6
	უმაღლესი	7	7	7	7	7	7	7	7	7

**C2. პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები) გასულ თვეში (ლარი)?**

მოცემულ კატეგორიაში თუ შემოსავალი არა აქვს, ჩაწერეთ „0“. არასრულწლოვანთა შემოსავალი უნდა მიეწეროს მის კანონიერ წარმომადგენელს ან მიმღებს (მშობელს, მეურვეს და სხვა)

N	N	1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ხელფასი (ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით)									
2	შემოსავალი კერძო საქმიანობიდან									
3	სახელმწიფო პენსია									
4	სოციალური პაკეტი									
5	სახელმწიფო კომპენსაცია									
6	სტიპენდია									
7	ალიმენტი									
8	დევნილთა შემწეობა									
9	სხვა ფულადი დახმარება, რომლის გაცემა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულაზე									
10	ფულადი სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა									
11	სხვა სოციალური დახმარება									
12	სხვა რეგულარული ფულადი შემოსავალი									

**C3. თამბაქოს მოხმარება**

	მოიხმარს ძირითადად თუთუნს ან უფილტრო სიგარეტს	1	1	1	1	1	1	1	1	1
	ეწევა ფილტრიან სიგარეტს ან სიგარას	2	2	2	2	2	2	2	2	2
	არ მოიხმარს თამბაქოს	3	3	3	3	3	3	3	3	3

„C2“ ბლოკის პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-8 და მე-10 გრაფებზე ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა არ ვრცელდება, (სამსახურის მიერ

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა



**C4. რამდენი იყო ოჯახის უამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში?**

(წალკითხეთ. თუ რომელიმე სახის შემოსავალი ოჯახს არ ჰქონია, ჩაწერეთ 0)

N	შემოსავლის წყარო
1	შინაური ცხოველების, ფრინველებისა და მათი პროდუქციის (რძის, კვერცხის, ხორცის, ყველის, კარაქის, მატყლის და ა.შ.) გაყიდვიდან
2	სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მათი გადამამუშავების პროდუქტების (ხილი, ბოსტნეული, ღვინის, არაყის, ზეთის, ფქვილის, ჩირის)
3	ქონების გაყიდვებიდან / გაყიდვიდან (ბინის, აგარაკის, მანქანისა და სხვა)
4	ფულადი დახმარება საქართველოში მცხოვრები ნათესავებისა და მეგობრებისაგან
5	ფულადი დახმარება საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისა და მეგობრებისაგან

**D. ოჯახის მიწა და სხვა ქონება**

**D1. იყენებთ თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მიწის ფართობს?**

დიახ	1	გააგრძელებთ
არა	2	გადადით D3-ზე

**D4. რა რაოდენობის შინაური ცხოველი და ფრინველი გყავთ?**

(ჩაწერეთ რაოდენობა, თუ არა გყავთ, ჩაწერეთ „0“)

დასახელება	N	რაოდენობა
ძროხა, კამეჩი (სულ)	1	
ცხენი, ხარი (სულ)	2	
ფუტკრის სკა	3	
შინაური ფრინველი (ყველა სახის)	4	
ღორი	5	
ცხვარი, თხა (სულ)	6	

**D3. გყავთ თუ არა ზრდასრული შინაური ფრინველი ან პირუტყვი?**

დიახ	1	გააგრძელებთ
არა	2	გადადით D5-ზე

**D2. რა კულტურების მოსაყვანად იყენებთ ცალკეული მათგანი? ჩაწერეთ ყოველ კულტურის სიხუსტით რომელიც მას უკავია. თუ**

კულტურები
სათიბი (ჰა)
ვენახი (ჰა)
ხეხილი (ჰა)
ხორბალი, მზესუმზირა (სულ) (ჰა)
სიმინდი (ჰა)
კარტოფილი (ჰა)
თხილი (ჰა)

**E. კომუნალური ხარჯები**

ციტრუსი, კივი ან ფეიხოა (ჰა)

**E1. რა თანხა გადაიხადეთ ბოლო 12 თვის განმავლობაში ელექტროენერგიისათვის? (თუ ბოლო წელიწადში არ იყენებდით ელექტროენერგიას, დატოვეთ ცარიელი)**

ლობიო, სოიო (ჰა)	ლარი
ბოსტნეული, ბაღჩეული (კვმ)	

სხვა კულტურები (ჰა) ულუ ინფორმაცია ოჯახის წევრებისთვის, რათა შეიძლება დაეხმარებოდნენ ხელმოწერით:

..... თანახმა ვარ დეკლარაციაში დაფიქსირებული ინფორმაციის მიერ დადგენილი სხვა შედეგების გამოყენებისთვის ინფორმაცია გახდეს საჯარო.

..... ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი





**D5.** მუშა მდგომარეობაში მყოფი ხანგრძლივი მოხმარების რომელ საგნებს ფლობს ოჯახი? ყოველი საგნის გასწვრივ ჩაწერეთ რაოდენობა. თუ არ ფლობს გრაფაში "არ აქვს" ჩაწერეთ „0“. გრაფაში „მ.შ. დახმარების სახით მიღებული“ უნდა მითითოს იმ საგნების რაოდენობა, რომლებიც ოჯახს მიღებული აქვს ოჯახის დეკლარაციის შევსების წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

საგანი	N	ფლობს	მ.შ. დახმარების სახით მიღებული
საბჭოთა წარმოების ავტომობილი (ყველა ტიპის)	1		
უცხოური (არა საბჭოთა) ავტომობილი (ყველა ტიპის)	2		
პატარა ტრაქტორი	3		
თანამედროვე (არა საბჭოთა წარმოების) მაცივარი	4		
თანამედროვე (არა საბჭოთა) სარეცხი მანქანა	5		
თანამედროვე (არა საბჭოთა წარმოების) გაზქურა	6		
ტრაქტორი ან კომბაინი ან თესლის ჩამყრელი აპარატი	7		
თანამედროვე (არა საბჭოთა) წარმოების ელექტრო წყლის გამათბობელი ავზი	10		
გაზის წყლის გამათბობელი (არა საბჭოთა)	11		
თანამედროვე (არა საბჭოთა) წარმოების გაზის გამათბობელი	12		
ვიდეო ან ციფრული ფოტოკამერა	15		
ვიდეომაგნიტოფონი ან DVD ფლეერი	16		
დენის გენერატორი	17		
თანამედროვე (არა საბჭოთა) წარმოების კონდიციონერი	19		
სამზარეულოს კომბაინი	21		
ჭურჭლის სარეცხი მანქანა	22		
გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების ინდივიდუალური სისტემა	23		
თხევად-კრისტალური ან პლანეტარ-ეკრანიანი ტელევიზორი	24		

<b>D6.</b>	<b>ხანგრძლივი მოსახით მიღებულ პასუხისმგებელი პირის შესაბამის გრაფ</b>
	<b>გამეცემი</b>
	სახელმწიფო ორგანო
	ადგილობრივი თვითმმართველობა
	საჯარო სამართლის იურიდიული ორგანიზაცია
	კერძო სამართლის იურიდიული ორგანიზაცია
	კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაცია
	საერთაშორისო ორგანიზაცია
	საგნის დახმარების სახით მიღებული
	ვადატურებ ოჯახის მიღებული ნივთ(ებ)ის შესაბამისად დამადასრულებლად არსებობას
	დოკუმენტის რეგისტრაციის N:
	პასუხისმგებელი პირის სახელი და:
	პასუხისმგებელი პირის თანამდებობა
	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა



# F. სააგენტოს უფლებამოსილი პირის შეფასება

ოჯახის დეკლარაციის ეს ნაწილი სააგენტოს უფლებამოსილი პირი ავსებს დამოუკიდებლად, ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, არ აცნობს ოჯახის წევრებს კითხვებს და არ უთანხმებს პასუხებს

F2. ოჯახის წევრთა ჩაცმულობა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი) და გარეგნული ჰიგიენა	
ძალიან ცუდ მდგომარეობაში	1
ცუდ მდგომარეობაში	2
საშუალო მდგომარეობაში	3
ნორმალურ მდგომარეობაში	4
კარგ მდგომარეობაში	5

დეკლარაციის შევსების თარიღი და დრო		
თარიღი <i>(რიცხვი/თვე/წელი)</i>	დაწყების დრო <i>(საათი/წუთი)</i>	დასრულების დრო <i>(საათი/წუთი)</i>
	:	:
სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი		

F5. ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დასადასტურებელი ინფორმაცია
სანდოა
მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დასადასტურებელ მალავს შემოსავლებს
მალავს გაწეულ ხარჯებს
მალავს შინაური ცხოველებისა და ფრინველების
მალავს სხვა სასოფლო-სამეურნეო კვანძების
მალავს მიწის ფართობს
მალავს სხვა ქონებას
მალავს საცხოვრის
არასწორად უთითებს წევრ(ებ)ის ფრინველების
მალავს სრულწლოვანი შვილების არსებობის

F3. პირადი ჰიგიენის საშუალებები			
N	დასახელება	აქვს	არ აქვს
1	კბილის პასტა	1	2
2	შამპუნი	1	2
3	სარეცხი საპონი/ფხვნილი	1	2
4	ჭურჭლის სარეცხი საშუალებები	1	2

F4. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის დასადასტურებელი ინფორმაცია
უკიდურესად დატაკი
უკიდურესად დატაკისა და დატაკის შორის
დატაკი
დატაკისა და ღარიბის შორის
ღარიბი
ღარიბისა და საშუალო შემოსავლის შორის
საშუალო შემოსავლის
საშუალო შემოსავლისა და მდიდარის შორის
მდიდარი

ოჯახის დეკლარაციის ფორმაში დახრილი ასოებით მოცემულია სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილი საინსტრუქციო ხასიათის მითითებები.  
[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №347/ნ-სსმIII, №135.21.10.201](#)  
[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის ბრძანება №01-37/ნ - ვებგვერდი, 18.06.201](#)  
[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №01-37/ნ - ვებგვერდი, 18.09.2013](#)



სსპ - სოციალური  
პროტექცია  
სააგენტო

ოქმი

ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური  
მდგომარეობის შეფასების შედეგის შესახებ

სააგენტოს უფლებამოსილი პირი	
კოდი	სახელი
<input type="text"/>	<input type="text"/>

ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი
<input type="text"/>

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი	
სახელი	კუთხე
<input type="text"/>	<input type="text"/>
პარალელური	<input type="text"/>

ოქმის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)
<input type="text"/>



მიქვლი კანონმდებლობის შესაბამისად შეწყდა იჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები მიზეზი:

იჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგების მიზეზი	1
იჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგების მიზეზი	2
იჯახის მთავარი უკმაყოფილებების მიზეზების დასახელება	3
იჯახის საინვესტიციო უკმაყოფილებების დასახელება	4
იჯახის უკმაყოფილების დასახელება	5
სხვა	6

B. საინვესტიციო უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ვიზიტები

ვიზიტების უკმაყოფილებების მიზეზების დასახელება იჯახის საინვესტიციო უკმაყოფილებების დასახელება

შედეგები:

ვიზიტი I	ვიზიტი II	ვიზიტი III
თანხები	თანხები	თანხები
ვიზიტის ფაქტობრივი შედეგები	ვიზიტის ფაქტობრივი შედეგები	ვიზიტის ფაქტობრივი შედეგები
სადა	სადა	სადა
სადა	სადა	სადა
სადა	სადა	სადა

C. საჭირო დოკუმენტების აბრარსებობის დასახელება

ვიზიტის თარიღი

ვიზიტის თარიღი

ვიზიტის თარიღი

ვიზიტის თარიღი

ვიზიტის თარიღი

ვიზიტის თარიღი

ვიზიტის თარიღი

ვიზიტის თარიღი

საინვესტიციო უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს იჯახის მთავარი უკმაყოფილებების დასახელება

1	სადა	6	სადა
2	სადა	7	სადა
3	სადა	8	სადა
4	სადა	9	სადა
5	სადა	10	სადა

მიქვლი კანონმდებლობის შესაბამისად შეწყდა იჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები

სადა

სადა

1. საინვესტიციო უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს იჯახის მთავარი უკმაყოფილებების დასახელება

2. საინვესტიციო უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს იჯახის მთავარი უკმაყოფილებების დასახელება

3. საინვესტიციო უფლებამოსილი პირის ვიზიტის დროს იჯახის მთავარი უკმაყოფილებების დასახელება

დანართი № 4



სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

ოქმის იჯახის ეკონომიკური მდგომარეობის დამატებითი შეფასების შესახებ

საინვესტიციო უფლებამოსილი პირი

სახელი | გვარი

სამსახურის ფაქტობრივი სადა

თანხები

ვიზიტის თარიღი

ოქმის შეფასების თარიღი (რეაბილიტაციის)

ოქმის საინვესტიციო უკმაყოფილებების

ოქმის უფლებამოსილი წარმომადგენელი

სახელი, გვარი

პარაფი



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი

სახელი \_\_\_\_\_ გვარი \_\_\_\_\_

პირადი ნომერი

თანამდებობა \_\_\_\_\_

ფინანსური დახმების სუბიექტი \_\_\_\_\_

საფოსტო ადრესი

ფინანსური დახმების სუბიექტის წარმომადგენლის ხელმოწერა და პლემბი

ორგანოს ხარკმდებელი ქველი

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N93  
დღის წიგნით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი  
ორგანოს (შენიშვნების) სოციალურ-ეკონომიკური  
მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-12 მუხლის 2-  
ქვეპუნქტის თანახმად ვადასტურებ, რომ წინამდებარე ოქმით  
გადავლესწინებული ორგანოს ეკონომიკური მდგომარეობა  
შეესაბამება შეფასების  
კლასურ ხარისხს

საფოსტო ადრესის სუბიექტის ხელმოწერა და პლემბი



---

[1] ოჯახის დეკლარაციის ფორმაში დახრილი ასოებით მოცემულია სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილი საინსტრუქციო ხასიათის მითითებები.

[2] იგულისხმება სოციალური (საოჯახო) დახმარება შემდეგი კატეგორიებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, შშმ პირველი ჯგუფის უსინათლო პირი, დედ - მამით ობოლი ბავშვი, მარტოხელა არამომუშავე პენსიონერისაგან შემდგარი ოჯახი ან მხოლოდ არამომუშავე პენსიონერ(ებ)ისაგან შემდგარი ოჯახი, მრავალშვილიანი ოჯახი შვიდი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილით.

